წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის ოქმი N11

ქ.წალენჯიხა 15 ივნისი 2016 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს
თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**
საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ასმათ კვარაცხელია,დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, მარინა კალანდია, ნონა კვარაცხელია, ივერ კვარაცხელია,ბესიკ ფარცვანია, ბორის კვარაცხელია , ვლადიმერ კვარაცხელია, ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, მალხაზ ფიფია, ლევან შელია, ბაჩუკი უბილავა, დავით ფიფია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა გულორდავა, გამგებლის მოადგილე: თენგიზ ფიფია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების .

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 12:50 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვიუნჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელი: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილე – თენგიზ ფიფია

მოისმინეს 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების ღონისძიებების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ

მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი – არცერთი.)

მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N28) .

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; temurgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

15 ივნისი 2016 წელი

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №28

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“–ს 45–ე და 46–ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) წარმოების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით,

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო ღონისძიებების გამართვასთან (წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)) დაკავშირებით გამოყოფილ იქნეს შემდეგი შენობა–ნაგებობები:

ა) ყოფილი ქვედა მაზანდარის სასოფლო სამეურნეო საწარმოს დარბაზი;
ბ) ეწერის ადმინისტრაციული ერთეულის კულტსახლის დარბაზი;
გ) მიქავას ადმინისტრაციული ერთეულის კულტსახლის დარბაზი;
დ) ჭალეს ადმინისტრაციული ერთეულის კულტსახლის დარბაზი;
ე) ლიის ადმინისტრაციული ერთეულის კულტსახლის დარბაზი;
ვ) ობუჯის ადმინისტრაციული ერთეულის კულტსახლის დარბაზი;
ზ) ქ.ჯვარის (ჯვარზენი) კულტსახლის დარბაზი;
თ) ნაკიფუს ადმინისტრაციული ერთეულის კულტსახლის დარბაზი;
ი) მუჟავას ადმინისტრაციული ერთეულის კულტსახლის დარბაზი;
კ) საჩინოს ადმინისტრაციული ერთეულის კულტსახლის დარბაზი.

2.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ თითოეულ საარჩევნო უბანში სააგიტაციო მასალის გამოსაფენად განთავსდეს სტენდები შემდეგ ადგილებზე:

ა) № 68.01 ქ. წალენჯიხის საარჩევნო უბანში - ქ.წალენჯიხა პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

ბ) № 68.02 წალენჯიხის საარჩევნო უბანში - ქვედა მაზანდარის ყოფილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (ქ.წალენჯიხა, წმ. ნინოს ქუჩა);

გ) № 68.03 წალენჯიხის საარჩევნო უბანში - მეორე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია;

დ) № 68.04 წალენჯიხის საარჩევნო უბანში - წალენჯიხის N5 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია. (ქ.წალენჯიხა ზღვაიას დასახლება);

ე) № 68.05 ჯვარის საარჩევნო უბანში - ყოფილი გამგეობის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (ქ.ჯვარი,საჯაიას ქუჩა N1);
ვ) № 68.06 ჯვარის საარჩევნო უბანში -ქ.ჯვარი N3 საჯარო სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორია. (ქ.ჯვარი,სოხუმის ქუჩა N2);
ზ) № 68.07 ჯვარის საარჩევნო უბანში -ქ.ჯვარი 1-ლი საჯარო სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორია. (ქ.ჯვარი,რუსთაველის ქუჩა N19);
თ) № 68.08 ჯვარის საარჩევნო უბანში -ქ.ჯვარი კულტურის სახლის შენობის მიმდებარე ტერიტორია. (ქ.ჯვარი,რუსთაველის ქუჩა);
ი) № 68.09 ეწერის საარჩევნო უბანში - სოფ. ეწერის საექიმო ამბულატორიის შენობის მიმდებარე ტერიტორია;
კ) № 68.10 ლიის საარჩევნო უბანში- ლიის კულტურის სახლის შენობის მიმდებარე ტერიტორიზე. (ლიის ადმინისტრაციული ერთეული , გ,ჭანტურის ქ.N1);
ლ) № 68.11 ლიის საარჩევნო უბანში- ლიის N2 საბაზო სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (ლიის ადმინისტრაციული ერთეული);
მ) № 68.12 მედანის საარჩევნო უბანში-მედანის N1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე;
ნ) № 68.13 მიქავას საარჩევნო უბანში- მიქავას თემის კულტურის სახლის შენობის მიმდებარე ტერიტორიზე.(მიქავას ადმინისტრაციული ერთეული)
ო) № 68.14 მუჟავას საარჩევნო უბანში-მუჟავას საჯარო სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორია;
პ) №68.15 ნაკიფუს საარჩევნო უბანში-ნაკიფუს თემის კულტურის სახლის შენობის მიმდებარე ტერიტორიზე. (ნაკიფუს ადმინისტრაციული ერთეული);
ჟ) № 68.16 ობუჯის საარჩევნო უბანში-ობუჯის N1 საჯარო სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (ობუჯის ადმინისტრაციული ერთეული);
რ) № 68.17 საჩინოს საარჩევნო უბანში- საჩინოს თემის კულტურის სახლის შენობის მიმდებარე ტერიტორიზე.(საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული);
ს) № 68.18 ფახულანის საარჩევნო უბანში-ფახულანის ვ.გუჩუას სახ. საჯარო სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული);
ტ) № 68.19 ფახულანის საარჩევნო უბანში-ფახულანის თემი N2 საჯარო სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (ფახულანის ადმინისტრაციული ერთეული);
უ) № 68.20 ჩქვალერის საარჩევნო უბანში- ჩქვალერის თემის კულტურის სახლის შენობის მიმდებარე ტერიტორიზე.(ჩქვალერის ადმინისტრაციული ერთეული);
ფ) № 68.21 ჭალის საარჩევნო უბანში-ჭალის კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია;
ქ) №68.22 ჭალის საარჩევნო უბანში-ფოცხო-ეწერის ყოფილი უნივერმაღის შენობის მიმდებარე ტერიტორია;
ღ) №68.23 ჯგალის საარჩევნო უბანში- ჯგალის თემი N1 საჯარო სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (ჯგალის ადმინისტრაციული ერთეული);
ყ) №68.24 ქ. წალენჯიხის საარჩევნო უბანში - ყოფილი 26 მაისის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (ქ. წალენჯიხის, ქიაჩელის ქ.N34);
შ) № 68.25 წალენჯიხის საარჩევნო უბანში - წალენჯიხის N6 საჯარო სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. (ქ.წალენჯიხა გაგარინის ქ.N3);
ჩ) № 68.26 ჯვარის საარჩევნო უბანში - ყოფილი უნივერმაღის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე. (ქ.ჯვარი, კოსტავას ქ. N7);
ც) № 68.27 ჯგალის საარჩევნო უბანში- ჯგალის თემის ბაგა-ბაღის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (ჯგალის ადმინისტრაციული ერთეული);
ძ) № 68.28 საჩინოს საარჩევნო უბანში- საბავშო ბაღის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული);

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად სტენდების დამზადების უზრუნველყოფა.

4.საარჩევნო სააგიტაციო მასალა შესაძლებელია ასევე განთავსდეს გარე განათების ბოძებსა და მგზავრთა მოსაცდელებში.

5.აიკრძალოს პლაკატების განთავსება საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუ-ფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის და პოლიციის შენობების ინტერიერისა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

6.უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის" მე-80 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნაწილში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის უფლებამოსილება მიენიჭოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს.

7.დაევალოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს და საკრებულოს აპარატს ამ განკარგულების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების უზრუნველყოფა გამგეობის/საკრებულოს ვებგვერდებზე (www. Tsalenjikha-sakrebulo.ge, www.Tsalenjikha.ge) და ადმინისტრაციულ შენობის საინფორმაციო დაფებზე (მისამართი ქ. წალენჯიხა, სალიას ქ. №5).

8.განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

9.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, გრ, ქობალიას ქ.№12).

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია